ღირსეულად შევხვდეთ სკკპ
XXV
ყრილობას!

საბჭოთა ოლიმპიელებმა ინსბრუკის XII „თეთრ ოლიმპიადაში" მოპოვებული ბრწყინვალე წარმატებები სკკპ XXV ყრილობას უძღვნეს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 34 (5584)

1976 წ.
18 თებერვალი,
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

უჩვეულო შეხვედრა

იუგოსლავიის სატელევიზიო კომპანიამ სთხოვა ქალთა შორის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, დიდოსტატ ნ. გაფრინდაშვილს ერთ ტელეპარტიაში შეხვდეს ცნობილ იუგოსლაველ დიდოსტატს მ. მატულოვიჩს. გაფრინდაშვილმა წინადადება მიიღო.

„ლელოს" კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტის განყოფილების მთავარ რედაქტორს გ. ჭელიძეს და სთხოვა ეამბნა, როგორ მოეწყობა დიდოსტატთა ტელეპარტია.

— პარტია შედგება 28 თებერვალს, — თქვა გ. ჭელიძემ. — იგი დღის სამ საათზე დაიწყება და მხოლოდ ნახევარ საათს გაგრძელდება. ესე იგი, თითოეულ მეტოქეს პარტიისთვის 15 წუთი ეძლევა. სვლები გადაიცემა ტელეფონით, რასაც ამ შეხვედრის მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი თენგიზ გიორგაძე უხელმძღვანელებს.

ნონას მეტოქე, 41 წლის მილან მატულოვიჩი ძლიერი მოჭადრაკეა. 1961 წელს მან საერთაშორისო ოსტატის წოდება მიიღო, 1965 წელს კი — საერთაშორისო დიდოსტატისა. მას ბევრჯერ უსახელებია თავი იუგოსლავიის ჩემპიონატში, საერთაშორისო ტურნირებში. 1973 წლის ნოემბერ-დეკემბერში მატულოვიჩი თბილისში საბჭოთა და იუგოსლაველ მოჭადრაკეთა ამხანაგურ მატჩში მონაწილეობდა.

როგორც იუგოსლაველებს, ისე ჩვენ განზრახული გვაქვს დიდოსტატთა შეხვედრის ტელევიზიით გადაცემა. პარტიას გზადაგზა კომენტარს გაუკეთებენ თბილისელი საერთაშორისო დიდოსტატი ედუარდ გუფელდი და შეხვედრის მსაჯი.

გაფრინდაშვილ — მატულოვიჩის შეხვედრა ტელევიზიით უდავოდ საინტერესო მოვლენაა რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში.

ლიდერობს გიპსლისი

ფიზიკოსთა ქალაქ დუბნაში მიმდინარე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობს, დაწესებულია დიდოსტატის ბალი (9 ქულა) და საერთაშორისო ოსტატის (7) ნორმატივი. ეს გარემოება ხელს უწყობს უშეღავათო და მძაფრ ბრძოლას.

6 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს რიგელი დიდოსტატი გიპსლისი — 4,5 ქულა. მას კვალში მიჰყვებიან ომსკელი დიდოსტატი ცეშკოვსკი — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, დიდოსტატი პადევსკი (ბულგარეთი), მოსკოველი დიდოსტატი ხოლმოვი — 3,5-3,5, საერთაშორისო ოსტატები — მოსკოველი ზაიცევი, მაილსი (ინგლისი) — 3-3 (1-1), საერთაშორისო ოსტატი კნეჟევიჩი (იუგოსლავია), კურგანელი ოსტატი რამკოვსკი, დიდოსტატები — ხარკოველი სავონი და მოსკოველი სუეტინი — 3-3.

გაიმარჯვეს კოლმეურნეებმა

ვანის რაიონის მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში 10 საწარმო-დაწესებულება და კოლმეურნეობა მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა დიხაშხოს კოლმეურნეობის გუნდმა. II ადგილზეა ცენტრალური საავადმყოფოს ნაკრები, III — ცეკავშირის საწარმოო კომბინატის გუნდი.

მ. აბრამიძე,
სპორტის ოსტატი.

ვანი.

ისევ გზაში

მოსკოვი, 16 თებერვალი. დღეს ნორვეგიაში გაფრინდა სსრ კავშირის მოციგურავე ქალთა ნაკრები გუნდი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს. ეს საინტერესო შეჯიბრება 21-22 თებერვალს გაიმართება გიოვიკში.

— ჩვენი გუნდი გამოცდილია. მის წევრთაგან მხოლოდ 20 წლის პოგოდაევას არ მიუღია შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში (ასენი, ჰოლანდია) მონაწილეობა, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბ. სტენინმა. — ყველას სურს გაიმეოროს ოლიმპიური წარმატება. ეს განსაკუთრებით სწადია ავერინას, რომელიც შარშან მრავალჭიდის ჯამში მეორე იყო. მაგრამ ეს ერთობ ძნელი საქმეა, რადგან ჩემპიონატში ოლიმპიადის თითქმის ყველა მონაწილე გამოვა. (საკდესი).

წინაა ახალი ოლიმპიადები

— მე მიმაჩნია, რომ ინსბრუკში ოლიმპიური თამაშები დაძაბულ სპორტულ ბრძოლაში, ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა, — უთხრა საკდესის სპეციალურ კორესპონდენტს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ლორდმა მაიკლ კილანინმა. — მე ვნახე ოლიმპიადის ყველა ნაგებობა, დაწყებული ოლიმპიური სოფლით და დამთავრებული პრეს-ცენტრის სამუშაო შენობებით. თამაშების ორგანიზატორებმა ყველაფერი შესაძლებელი გააკეთეს, რათა მონაწილეებისთვის თანაბარი პირობები შეექმნათ, რათა მათ მთლიანად გამოევლინებინათ თავიანთი შესაძლებლობები სპორტულ სარბიელზე. მთელ მსოფლიოში მილიონობით ტელემაყურებელმა ნახა ზამთრის სახეობათა ეს დღესასწაული.

● **როგორ აფასებთ საბჭოთა სპორტსმენთა გამოსვლებს?**

— ჩემი მდგომარეობა მავალდებულებს ნეიტრალური ვიყო. სსრ კავშირის გუნდის წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია. ეს შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია. მე მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო საბჭოთა დელეგაციის გადაწყვეტილება ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრებში მესამე მეკარის დაშვების შესახებ. ეს გადაწყვეტილება სავსებით შეესაბამებოდა ოლიმპიადის სულისკვეთებას და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საბჭოთა მეგობრები ოლიმპიური იდეალების ერთგულნი არიან. ეს ყველაფერი ხელს უწყობს იმ განსაკუთრებული ატმოსფეროს შენარჩუნებას, რომლითაც მუდამ გამოირჩევა ოლიმპიადები.

● **ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მოეწყო სოკ-ის სესია, რომელმაც მოისმინა მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება...**

— „მოსკოვის მოხსენება", როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, დროულად იყო წარმოდგენილი და იგი ყველამ ყურადღებით შევისწავლეთ. სოკ-ის წევრები სავსებით კმაყოფილი არიან იმ მუშაობით, რომელიც საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ტარდება. წლეულს მე მინდა მოსკოვში ჩავიდე და შევხვდე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, 1980 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ი. ნოვიკოვს, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს ს. პავლოვს, სოკ-ის აღმასკომის წევრს, თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ვ. სმირნოვს.

სესიაზე წარმოდგენილი იყო „მონრეალის მოხსენებაც". ამ თემაზე ბევრი რამ ითქვა. ცნობილია, რომ ოლიმპიადა დათქმულ ვადებში დაიწყება, მაგრამ მანამდე ორგანიზატორებს ჯერ კიდევ დიდი მუშაობა ელით.

● **ახლა სპორტული ბაზების მშენებლობა გაცილებით უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე, ვთქვათ, ათი წლის წინათ. ზედმეტ მოთხოვნებს ხომ არ უყენებენ საერთაშორისო ფედერაციები სტადიონებს, აუზებს, დარბაზებს?**

— ეს ძალიან სერიოზული საკითხია. სოკ-ი შეშფოთებულია ამ გარემოებით. ჩვენ ვცდილობთ გავაკეთოთ ყველაფერი შესაძლებელი, რათა ხელი შევუშალოთ თამაშების ორგანიზატორი ქალაქების ხარჯების ზრდას. სოკ-ის აღმასკომის წევრები ფედერაციის ხელმძღვანელთა ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ მათი მოთხოვნები უფრო გონივრული უნდა იყოს და რეალურ მდგომარეობას შეეფერებოდეს.

● **როგორ უყურებთ ოლიმპიურ თამაშებში მსაჯობის პრობლემას?**

— ინსბრუკის ასპარეზობაში, ჩემი აზრით, არბიტრების ყველა გადაწყვეტილება სამართლიანი და ობიექტური იყო. ოლიმპიური ჩემპიონებიდან ყველა ღირსია თავისი წოდებისა. წარმატება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად გულმოდგინედ იქნებოდა სპორტსმენი მომზადებული სტარტისთვის.

● **ინსბრუკის ოლიმპიადა ძალიან ფართოდ გაშუქდა პრესაში. წარსულში თქვენ თვითონაც ჟურნალისტი იყავით. როგორ აფასებთ ჟურნალისტთა მუშაობას ამ თამაშებზე?**

— მე კმაყოფილი ვარ ოლიმპიადის გაშუქებით სხვადასხვა ქვეყნის პრესაში, თუმცა ძალიან დაკავებული ვიყავი და მასალების უმეტესობას ვერ გავეცანი. შეჯიბრებები იმდენად საინტერესო და შთამბეჭდავი იყო, რომ, დარწმუნებული ვარ, ჟურნალისტებს შეეძლოთ დაეწერათ მხოლოდ ინფორმაციებით მდიდარი რეპორტაჟები, რაც სპორტის მოყვარულებისთვის დიდად საინტერესო იქნებოდა.

● **როგორ გესახებათ ზამთრის ოლიმპიადის მომავალი?**

— მე ვერ ვხედავ მიზეზს, რომელიც ზამთრის ოლიმპიადების მომავალს საეჭვოს ხდიდეს. ჩემი აზრით, ეს ასპარეზობები დიდად საინტერესოა სპორტის ყველა მოყვარულისთვის და ისინი მომავალშიც უნდა ჩატარდეს.

ინსბრუკი.

საკდესი მოგვითხრობს

მოსკოვი ეგებება ოლიმპიელებს

16 თებერვალს საღამოს მოსკოვში დაბრუნდნენ საბჭოთა ოლიმპიელები, ინსბრუკის „თეთრი ოლიმპიადის" გმირები. ასობით მოსკოველი შერემეტიევოს აეროდრომზე ყვავილებით, ღიმილით, მუსიკით შეხვდა საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებმაც სახელოვნად დაიცვეს სამშობლოს ღირსება ოლიმპიურ შეჯიბრებებში.

„მადლობა მხარდამჭერისთვის, რომელმაც ძალიან შეუწყო ხელი ჩვენს გამარჯვებას, — თქვა 10 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. სმეტანინამ. — ამ გამარჯვებებს ჩვენი პარტიის XXV ყრილობას ვუძღვნით".

ჰოკეისტთა ნაკრები გუნდის კაპიტანმა ბ. მიხაილოვმა შეკრებილთ აღუთქვა, რომ საბჭოთა სპორტსმენები შემდგომშიც ღირსეულად ატარებენ სამშობლოს დროშას.

(საკდესის კორ.).

● ●

პრიზიორები

ჟ. მურატოვი: 500 მ — ვერცხლი, 1000 მ — ბრინჯაო.

ი. მოისეევა და ა. მინენკოვი: სპორტული ცეკვა — ვერცხლი.

სურათზე: ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ე. ბელიაევი 15 კილომეტრზე რბოლის დროს.

საკდესის ტელეფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომისმოყვარეობის, ზნეობისა და მოჭადრაკეთა ცვლის შესახებ

ვიცი, ბევრს აინტერესებს, რას ნიშნავს იყო მოჭადრაკე? რა გზა უნდა გაიარო ამისთვის? რაკი კალამს მოვკიდე ხელი ამ წერილის დასაწერად, ვიქნები გულახდილი, გულახდილი ყველაფერში, რაც მინდა დღეს მკითხველს გავუზიარო.

ჭადრაკის თამაში რომ დავიწყე, პატარა გოგო ვიყავი. მაშინ, რა თქმა უნდა, არ შემეძლო მთლიანად შემეგნო, რამდენად რთულია იყო მოჭადრაკე. შეიძლება ჭადრაკი გიყვარდეს, შეიძლება დატკბე ჭადრაკით, ისევე როგორც ნებისმიერი მოყვარული, მაგრამ ჭადრაკისადმი ჭეშმარიტი ერთგულების დაცვა, თუ სერიოზულად გაქვს გადაწყვეტილი მას ემსახურო, იოლი არ არის. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანისგან, რომელსაც სურს, ხატოვნად რომ ვთქვათ, საჭადრაკო გვარდიის მამაცი, მცოდნე მხედართმთავარი იყოს, ჭადრაკი მარტო უბრალო ყურადღებას, მარტო უანგარო გატაცებას, მარტო სისტემატურ მეცადინეობას არ იკმარებს. იგი მოითხოვს ყოვლის მომცველ ყურადღებას, უსაზღვრო სიყვარულს, ყოველდღიურ, კეთილსინდისიერ, გულმოდგინე და სისტემატურ შრომას. სწორედ ამას ვგულისხმობ, როცა ჭეშმარიტ ერთგულებაზე ვლაპარაკობ. ის, ვისაც საამისო ძალა არ შესწევს — მორალური სიმტკიცე და ნებისყოფა არ მყოფნის, დიდი ილუზიებით ნუ შეხედავს თავის მომავალს ჭადრაკში: არა მგონია, აქედან რაიმე გამოვიდეს.

ზოგჯერ მე თვითონაც მიფიქრია, რომ ხის პატარა ფიგურები ადამიანებივით გრძნობენ მათდამი ჩვენს დამოკიდებულებას: საკმარისი იყო ოდნავ მოდუნება, მეცადინეობის გაცდენა, საწვრთნელი პარტიის მეორე დღისთვის გადადება, რომ მყისვე სადღაც ქრებოდა საკუთარი ძალის რწმენა. ფიგურები, თითქოს პირი შეკრესო, აღარ მემორჩილებოდნენ. ამიტომაც ვამბობ: ძნელია მათდამი ჭეშმარიტი ერთგულების დაცვა, თუ თავს მორალურად არ მოამზადებ იმ რწმენისთვის, რომ პირველ ყოვლისა სწორედ ესაა აუცილებელი. რას ვგულისხმობ ამ სიტყვებში? შრომას, პირველ ყოვლისა. უნარი შრომისა — თავისთავად უდიდესი ამქვეყნიური სიკეთე — ახალ და ახალ სიკეთეთა სათავედ იქცევა. ცნობილია, რომ მხოლოდ ნამდვილ, შეუპოვარ შრომას ძალუძს მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნა. მახვე, უდავოდ, დაუფასებელი მნიშვნელობა ენიჭება, როცა ადამიანი ადრეული ასაკიდან იძენს შრომის ჩვევებს, დარწმუნებულია თავის თავზე მუშაობის აუცილებლობაში. როგორც წესი, მორალურად სრულყოფილი პიროვნება ისაა, ვინც სავსებით დაუფლებულია ამ მეცნიერებასაც — თავის თავზე მუშაობას, მუშაობას სრულყოფისთვის. ამავე დროს, აუცილებელია თვითდისციპლინა. დასასრულ, თუ შრომისმოყვარეობა და თვითდისციპლინა წილნაყარია ადამიანური ხასიათის კიდევ ერთ ულამაზეს მხარესთან, ზნეობრივ თვისებათა ასეთი ნაერთი გამოხატული კონცენტრირებული, ურთიერთგამამდიდრებელი სახით, არა ერთი და ორი დიდი წარმატების საწინდარია. მხედველობაში მაქვს თავდავიწყებით გატაცების უნარი.

აქვე დავძენ: არ მინდა იფიქროთ, რომ ყველა ეს თვისება ჩემთვის (მე ამ დასკვნას წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე ვაკეთებ) თავიდანვე დამახასიათებელი იყო. უფრო მეტიც, მე არ ვამტკიცებ, რომ ყოველივე ამას სავსებით ვარ დაუფლებული: არა მგონია, ეს თავმდაბლობაში ჩამომერთვას. მაგრამ ფაქტია, რომ ამ რწმენამდე მივედი, ამ რწმენას ვიცავ და მინდა იგი სხვებსაც გავუზიარო.

ხშირად, როცა ვკითხულობ, ვისმენ, ტელეეკრანზე ან უშუალოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხედავ, როგორ აქებენ ჩვენს მუშებს, მეცნიერული და ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს, კოლმეურნეებს, მე ვფიქრობ იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა, გონებრივი და ფიზიკური ენერგიის წყარომ, იცის, კარგად ესმის, საით და რა გზით წარმართოს ეს ენერგია. თავის მხრივ, ამ ცოდნას, როგორც ცნობილია, საფუძვლად უდევს შეგნება იმისა, თუ რაოდენ სჭირდება ადამიანს შრომის შედეგად შექმნილი ესა თუ ის სიკეთე და ადამიანი, რომელიც გამუდმებით ფიქრობს, როგორ შექმნას მეტი სიკეთე, მეტი დოვლათი, განუწყვეტლივ ზრუნავს შრომის პროცესის, მოღვაწეობის ფორმების სრულყოფისთვისაც. ავიღოთ უბრალო მაგალითი: ხარატი შრომისნაყოფიერების ამაღლებისთვის საჭრისის ახალ ნიმუშს იგონებს; მქსოველი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მისი დაზგის მუშაობის პრაქტიკული შეცვლით უკეთესი პროდუქციის გამოშვება შეიძლება. ამით რა მინდა ვთქვა? ის, რომ ყოველგვარ შრომას შემოქმედება, შემოქმედებითი დამოკიდებულება უყვარს, რომ ყველა შემთხვევაში საწყისთა საწყისია შრომა, შრომის სიყვარული და ადამიანის უნარი შრომისა.

მე, რა თქმა უნდა, მუდამ ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, როგორ ვითამაშო ჭადრაკი კიდევ უფრო უკეთ, კიდევ უფრო ძლიერად. ამ სურვილს საფუძვლად უდევს ბუნებრივი სწრაფვა შემოქმედებითი სტილის სრულყოფისკენ, თამაშის მეტი ეფექტურობისკენ, ოსტატობის დონისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისკენ. მე, რასაკვირველია, მინდა ვთამაშობდე არა მარტო ძლიერად, არამედ ლამაზადაც, სწორადაც, ისე, რომ პარტიის ყველა სტადიაში მაქსიმალური ლოგიკა ჩანდეს; მე მინდა მეტოქეს ვაჯობო ფართო სადებიუტო რეპერტუარით, მრავალფეროვანი ტაქტიკური სიახლეებით. ერთი სიტყვით, ვცდილობ მეტოქის წინაშე სტაბილური უპირატესობა მქონდეს როგორც თამაშის, ისე მორალური თვალსაზრისით. რა არის ამისთვის საჭირო? დიდი და სერიოზული მუშაობა, ზოგჯერ ღამეების გათენებაც, მეცადინეობა, კითხვა, არა მარტო საჭადრაკო, არამედ, თავისთავად ცხადია, საერთო ერუდიციის გაღრმავება. და კიდევ, არ შეიძლება ჭეშმარიტი ერთგულების დავიწყება. ამისთვის კი საჭიროა სულ უფრო ღრმად ჩაუნერგო შენს თავს თვითდისციპლინა, განამტკიცო ნებისყოფა, უნარი იმისა, რომ გასწირო ბევრი რამ „ერთი, მაგრამ ცეცხლოვანი ვნებისთვის“.

ზემოთქმულთან დაკავშირებით მაგონდება ზოგიერთი ეპიზოდი იმ დროიდან, როცა ჯერ კიდევ სულ ბავშვი ჭადრაკის ხელოვნების საიდუმლოებას ვეუფლებოდი გულისხმიერი და ფაქიზი პედაგოგის ვახტანგ ქარსელაძის ხელმძღვანელობით. მახსოვს, ერთხელ საგანგებოდ მამზადებდა საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ მონაწილესთან შესახვედრად. ერთ-ერთ გამბიტის ვარიანტს ვარჩევდით, მაგრამ თეთრების გადამწყვეტი უპირატესობა არ ჩანდა. ამ პოზიციაში წარმატების გზას ვერა და ვერ მივაკვლიეთ. მეორე დღეს მე ეს ვარიანტი გამოვიყენე და საკმაოდ იოლ პარტიაში მეტოქეს ვაჯობე. „რანაირად, როგორ მოახერხე?“ — მკითხა გახარებულმა ვახტანგმა. მე ვუპასუხე, რომ შინაც გავაგრძელე ვარიანტის გარჩევა.

ახლა ეს იმიტომ გავიხსენე, რომ ჯერ კიდევ მაშინ დავრწმუნდი: შეუძლებელია მაღალი კლასის მოჭადრაკე გახდე, თუ დამოუკიდებელი ძიების უნარი არ შეგწევს, თუ არ გესმის საკუთარ თავზე მუშაობის აუცილებლობა.

რა თქმა უნდა, მწვრთნელთან ერთად მუშაობა უფრო იოლია. მაგრამ დამოუკიდებლად მუშაობის უნარისა და, რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, სურვილის გარეშე მოჭადრაკე ძალიან ბევრს კარგავს.

აქ, ვეყრდნობი რა გარკვეულ გამოცდილებას, არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა მწვრთნელთან თანამშრომლობის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. ეს სიტყვა შემთხვევით არ მიხმარია: სწორედ თანამშრომლობას თავისი ყველა დადებითი მხარით მოაქვს დაუფასებელი სარგებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოჭადრაკის ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

პირველი წლები მუდამ დაკავშირებულია რეალურ—შემოქმედებით, სპორტულ, ფსიქოლოგიურ სირთულეებთან. მწვრთნელი, რომელიც მუშაობის მიზნად მხოლოდ თავისი მოწაფისადმი დახმარებას და შეჯიბრებებისთვის მის მომზადებას კი არ ისახავს, არამედ ყოველმხრივ ზრუნვითა და ყურადღებით ჰყავს იგი გარემოსილი, ქმნის განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ კლიმატს, რაც განაპირობებს მოჭადრაკის საუკეთესო თვისებათა სრულად გამოვლენას.

ნათქვამის მეტი სიცხადისთვის მოვიყვან ერთ მაგალითს, რომლისთვისაც შორს წასვლა არ არის საჭირო. ყველასთვის ცნობილია დამრიგებლობის ტრადიცია, რომელიც ფართოდ გავრცელდა ჩვენს რესპუბლიკაში, და ის სარგებლობა, რომელიც ამ ტრადიციას მოაქვს. პარალელი აქ თავისთავად იბადება. წარმოვიდგინოთ ჭაბუკი ან ქალიშვილი, რომლებიც, ვთქვათ, საწარმოში მოვიდნენ და ჭკვიანი, მცოდნე დამრიგებლის ხელში მოხვდნენ. თუ ახალგაზრდამ თავისი საქმე შეიყვარა, თუ ისწავლა შრომა და თავის თავზე მუშაობა, შედეგი უთუოდ სასიხარულო იქნება. ალბათ სწორედ ასეთი ურთიერთთანამშრომლობა წარმოშობს უზადო პიროვნებებს—შრომის გმირებს, კარგ მეცნიერებს, ჭკვიან ინჟინრებს — ხალხს, რომელმაც საფუძვლიანად იცის თავისი საქმე და ამიტომ განსაკუთრებული სარგებლობაც მოაქვს საზოგადოებრიობისთვის.

საქმე მარტო ჭადრაკი როდია. უბრალოდ, მე მოჭადრაკე ვარ და, თუ ჭადრაკის შესახებ უფრო მეტს ვლაპარაკობ, ეს იმიტომ, რომ ამ სფეროს უკეთ ვიცნობ. მაგრამ, როცა მე ვლაპარაკობ შრომისმოყვარეობისა და საქმით გატაცების შესახებ, ეს ეხება ადამიანის მოღვაწეობის უკლებლივ ყველა სფეროს.

რამდენიმე სიტყვა წარმატებისა და წარუმატებლობის შესახებ, უფრო სწორად იმის შესახებ, თუ როგორ ღებულობენ ახალგაზრდა მოჭადრაკეები სიხარულისა თუ მარცხის სიმწარეს.

ცნობილია, რომ მარცხისგან დაზღვეული არავინ არის. მოჭადრაკისთვის მისი ჩამოყალიბების სტადიაში და უფრო გვიანაც მარცხი ისევე ბუნებრივია, როგორც, ვთქვათ, რამდენიმე ქირვეული დღე წელიწადში. მაგრამ მთავარია, რომ ბავშვებმა და მოზარდებმა ეს მარცხი მიიჩნიონ არა დრამად, არამედ კანონზომიერებად, მაშინაც კი, როცა იგი შედარებით შემთხვევითია. მთავარია შეგეძლოს მარცხის ღირსეულად შეხვედრა, მისი მიზეზების გაგება და ახსნა, მათი გაანალიზება და გათვალისწინება, ახალი საჭადრაკო ბრძოლისთვის მომზადება. მოჭადრაკეს თავისი ნიჭის უკეთ და უფრო სრულად გამოვლენაში ხშირად ხელს უშლის საწინააღმდეგო ემოციებიც, ამჯერად უკვე გამარჯვებით და წარმატებით გამოწვეული. ძალიან მნიშვნელოვანია წარმატებისადმი ფხიზელი დამოკიდებულების შენარჩუნება. წარმატებამ არ უნდა დაგათროს. უნდა გესმოდეს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, რომ წინაა ახალი პარტიები, არიან ახალი მეტოქეები, ნამდვილ შემოქმედებითს და სპორტულ სრულყოფამდე კი ჯერ კიდევ გრძელი, ძნელი გზა გაქვს გასავლელი.

როგორ გვესმის შეჯიბრება? არც ესაა ფუჭი კითხვა. ეს კითხვაც შეიძლება მივუსადაგოთ ყველაფერს, რითაც ჩვენი ახალგაზრდობაა დაკავებული, რისკენაც იგი ისწრაფვის.

პირველ წლებში, როცა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ვთამაშობდი, ტურნირებში ჩემს მეგობრებთან ე. კაკაბაძესთან, მ. ტოგონიძესთან, ა. ჩაიკოვსკაიასთან, გ. ბუცხრიკიძესთან და სხვა მოჭადრაკეებთან ერთად ვმონაწილეობდი. ურთიერთშეხვედრებში უშეღავათოდ ვიბრძოდით, მაგრამ ეს ჩრდილს ვერ აყენებდა ჩვენს დამოკიდებულებას. ერთმანეთთან პატიოსანი და გულწრფელნი ვიყავით. დღეს ისინი ჩემი ყველაზე ახლობელი, ერთგული გულშემატკივრები არიან. მე მათი მადლობელი ვარ იმ უშეღავათო ბრძოლისთვის: რომელიმე მათგანს „მეგობრულად“ ქულა რომ დაეთმო ჩემთვის ტურნირში წარმატების მოსაპოვებლად (ცრუ, დამღუპველი წარმოდგენაა), რაც შეიძლება სხვა დროსაც გამეორებულიყო, ვინ იცის, ვისწავლიდი კი მომავალში მხოლოდ საკუთარი ძალის იმედად დარჩენას? ძალიან მეეჭვება. მაგრამ არც ერთ ჩვენგანს ეს აზრადაც არ მოსვლია. იმთავითვე დიდ პატივს ვცემდით სპორტული პატიოსნების კანონებს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და რამდენიმე სიტყვა ვთქვა კიდევ ერთი პრობლემის შესახებ. ცნობილია, რომ მოჭადრაკე ქალებით მდიდარი საქართველო, ცოტა არ იყოს, ჩამორჩება ნიჭიერი მოჭადრაკე ვაჟების რიცხვით. ვერ ვიტყვი, რომ ასეთი მოჭადრაკეები საერთოდ არ გვყავს, მაგრამ მათი რიცხვის ზრდის ტემპი, გულახდილნი თუ ვიქნებით, სასურველზე დაბალია. ძნელია დაასახელო რაიმე კონკრეტული მიზეზები, მაგრამ ერთი რამ ფაქტად რჩება: ნიჭიერი მოჭადრაკე ვაჟების — ბავშვებისა და მოზარდების ძიება ჩვენში ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე. რატომ? იმიტომ, რომ სათანადოდ არ არის გამოყენებული ძიების შესაძლებლობები. ეს კი, თავის მხრივ, სხვა გარემოების შედეგია. ქალაქებში, რაიონებში, სოფლებში არ გვყავს კვალიფიციური მწვრთნელები, პედაგოგები, თუმცა ჩვენს რაიონებსა და სოფლებში ჭადრაკის მოყვარულთა, ჭადრაკის მოთამაშეთა შორის ბევრ ენთუზიასტს შეხვდებით, რომელთაც გულწრფელად უყვართ ეს თამაში და ყოველ წუთს მზად არიან მუშაობას შეუდგნენ. მაგრამ როგორ? მათ აკლიათ საამისო მომზადება, აკლიათ აუცილებელი კვალიფიკაცია. მწვრთნელთა მთავარი ძალები ჩვენში თავმოყრილია ორ ქალაქში. ესაა თბილისი, აგრეთვე, ქუთაისი, სადაც ნაყოფიერი მუშაობა ტარდება გამოცდილი პედაგოგის ა. ჩირაძის ხელმძღვანელობით. სხვაგან კი ასე არ არის.

მოსკოვში, ფიზიკური კულტურის ცენტრალურ ინსტიტუტში მოჭადრაკეთა მწვრთნელებს ასწავლიან, ამზადებენ სპეციალურ ფაკულტეტზე, სადაც ისინი მეცნიერებათა მთელ კურსს გადიან. გარდა სპეციალური, წმინდა საჭადრაკო დისციპლინებისა, ისინი სწავლობენ სხვა საგნებსაც, რომელთა ცოდნაც დღეს სულ უფრო მნიშვნელოვანი და საჭირო ხდება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იქ ჯერ არც ერთ ქართველ მწვრთნელს არ უსწავლია. იქნებ მიზანშეწონილია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან გაიხსნას ასეთივე განყოფილება ან, თუ ეს ძნელია სხვადასხვა მიზეზის გამო, ჩამოყალიბდეს მუდმივმოქმედი კურსები, სადაც კომპეტენტური პედაგოგები მოამზადებენ მწვრთნელებს რაიონებისა და სოფლებისთვის?

რასაკვირველია, ჭადრაკის პროპაგანდასა და პოპულარიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს მოწინავე მოჭადრაკეთა სტუმრობა ქალაქებსა და რაიონებში, რესპუბლიკის მთისა და ბარის სოფლებში. ჩვენი ლექციები, ერთდროული თამაშის სეანსები უდავოდ ხელს შეუწყობს ამ ადგილებში საჭადრაკო ცხოვრების გამოცოცხლებას. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ვიმეორებ, საჭიროა გვყავდეს მწვრთნელები ყოველ საჭადრაკო კლუბში.

ამასთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას ისიც, რომ კომკავშირული ორგანიზაციები ყველგან როდი აკეთებენ ყველაფერ შესაძლებელს საჭადრაკო მოძრაობის განვითარებისთვის. ნორჩ მოჭადრაკეთა მომზადება და ტურნირები (თუკი საერთოდ ეწყობა) ადგილებზე თვითდინებაზეა მიშვებული, ხშირად კომკავშირული ორგანიზაციების დაუხმარებლად ტარდება.

რატომ არ შეიძლება უფრო ხშირად ეწყობოდეს შეხვედრები ამიერკავკასიის რესპუბლიკების გუნდებთან? რატომ არ შეიძლება მოვიფიქროთ „საშინაო“ და სხვა შეჯიბრებები, დავაწესოთ წამახალისებელი პრიზები? მე სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას წელიწადში ერთი ასეთი ტურნირის ან გუნდური შეხვედრის მოწყობასა და ჩატარებაში. სიტყვამ მოიტანა და სწორედ გუნდურ შეჯიბრებაში გამოუმუშავდებათ ნორჩ მოჭადრაკეებს ბევრი ძვირფასი თვისება: ერთობის, კოლექტივიზმის, პასუხისმგებლობის, მოვალეობის გრძნობა — არც ამის დავიწყება შეიძლება. ხოლო ჭადრაკის შემდგომ პროპაგანდას, ბავშვთა საჭადრაკო მოძრაობის განვითარებას ამგვარი შეხვედრები მხოლოდ სარგებლობას, თანაც დიდ სარგებლობას მოუტანს.

დასასრულს მინდა ვთქვა, რომ ადამიანი მოჭადრაკედ არ იბადება, იგი მოჭადრაკე ხდება. მინდა კიდევ ერთხელ გავამახვილო ყურადღება ამაზე — მხოლოდ შრომით, შრომისმოყვარეობით გამდიდრებული ნიჭი და უნარი გვაძლევს სასურველ ნაყოფს; მხოლოდ მტკიცე თვითდისციპლინის მქონე, თავისი საქმით გატაცებული, სირთულეებთან შესაჭიდებლად მუდამ მზად მყოფი ადამიანის ნიჭი შეიძლება სრულად გამოვლინდეს, ხორცი შეისხას, მნიშვნელოვანი მიღწევით დაგვირგვინდეს. ასეთ შემთხვევაში წარმატება გარდუვალია.

ამასთან დაკავშირებით მინდა დავძინო, რომ დღეს ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც არასდროს, შექმნილია ყველა პირობა თავის თავზე შემოქმედებითი, მიზანდასახული, შეუპოვარი მუშაობისთვის, ადამიანის, როგორც პიროვნების, მოქალაქის, სპეციალისტის სრულყოფისთვის. ეს კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომუნისტთა XXV ყრილობაზე. ყრილობის საქმიანი და პრინციპული ატმოსფერო, იქ გამართული გულახდილი და სერიოზული მსჯელობა უფლებას გვაძლევს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ამით მაქსიმალურ სარგებლობას მიიღებს.

ნონა გაფრინდაშვილი,
ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, სსრ კავშირის დიდოსტატი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

„მოლოდიოჟ გრუზიი“.

ფეხბურთი

საბჭოთა ნაკრების ორი მატჩი

ბელგრადი, 16 თებერვალი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა ყველას აჯობა ტრადიციულ ტურნირში, რომელსაც მოსტარის „ველეჟი“ ატარებს. ფინალში საბჭოთა გუნდი ზაგრების „დინამოს“ შეხვდა. თამაშის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — — 0:0. საქმე პენალტებზე მიდგა. აქ კი საბჭოთა ფეხბურთელებმა მეტი სიზუსტე გამოიჩინეს — 4:3.

წინადღეს სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 2:1 (0:0) დაამარცხა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“. ბურთები გაიტანეს ნაზარენკომ და ბურიაკმა.

8 გუნდის მონაწილეობით

რკინიგზელთა სპორტკლუბ „იმერეთის“ დარბაზში მოეწყო სამტრედიის კვანძის პირველობა მინი-ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა.

კარგი მომზადებით გამოიჩინეს თავი სალოკომოტივო დეპოს ფეხბურთელებმა (მწვრთნელი ნ. ხაზეიშვილი), რომლებმაც შეძლეს I ადგილის დაკავება. II ადგილის ბედი გადაწყდა შენობა-ნაგებობათა დისტანციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს პირველებმა.

საუკეთესო მეკარედ მიჩნეულია ლ. ბახტაძე, ხოლო ბომბარდირის პრიზი ა. ჭანტურიას გადაეცა.

ა. სირაძე.
(ჩვენი კორ.).

სამტრედია.

მომავალი მეტს გვპირდება

თელავის მე-2 საშუალო სკოლის შენობა ერთ წელს ითვლის, მაგრამ შენობა ერთია და სკოლის ისტორია მეორე. ბევრი სასახელო ფურცელი ჩაუწერია ამ სასწავლებელს რაიონის სპორტულ ცხოვრებაში და ჩვენც იმ მიზნით მივედით სკოლაში, რათა გვენახა რა მდგომარეობაშია ამჟამად აქ ფიზიკური კულტურა და სპორტი.

პირველ ყოვლისა სპორტულ დარბაზს ვესტუმრეთ. დიდი და ნათელი დარბაზია კალათბურთის ფარებითა და ფრენბურთის ბადით, ტანვარჯიშული იარაღებით... პიანინოც აქვთ, მოსწავლეებს მუსიკის თანხლებით სამწყობრო სიარულს ასწავლიან.

სკოლაში ოთხი სექციაა — ფრენბურთის, კალათბურთის, ტანვარჯიშის და მძლეოსნობისა. მათში 100 მოწაფეა გაერთიანებული.

შარშანდელი ვალდებულებები წარმატებით შეასრულეს მეორესკოლელებმა. გეგმით გათვალისწინებული 35-ის ნაცვლად მომზადებულია მშდ კომპლექსის 41 ნიშნოსანი. აქედან ხუთს ოქროს სამკერდე ნიშანზე აქვს ჩაბარებული ნორმატივები. 40-ის ნაცვლად მოამზადეს 45 მესამეთანრიგოსანი, ხოლო მოზარდთა თანრიგების 22 სპორტსმენის ნაცვლად — 31.

რაიონის მოსწავლეთა შარშანდელ სპარტაკიადაში მეორესკოლელებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში III ადგილი დაიკავეს. ამავე შეჯიბრებაში მათ ფრენბურთელ ჭაბუკთა შორის III-IV ადგილები გაიყვეს, ხოლო ქართულ ჭიდაობასა და სიმძიმეების აწევაში მეორენი იყვნენ.

მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებშიც ჰყავთ ამ სკოლის ფიზკულტურელებს წარმომადგენლები. ერთ-ერთი მათგანია ძალოსანი შ. ყურაშიძე (60 კგ), რომელმაც „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაში III ადგილი დაიკავა, ხოლო საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატში ყველას აჯობა.

ტრადიციადაა ქცეული ამხანაგური მატჩები რაიონის მოწინავე სკოლებთან, ატარებენ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, სიმძიმეების აწევაში...

სკოლის სპორტული ცხოვრება უფრო ხალისიანი იქნება, როცა ეზოს კეთილმოაწყობენ. როგორც ფიზკულტურის მასწავლებლები ე. ჯაშიაშვილი და თ. იაშვილი ამბობენ, პროექტი უკვე დამტკიცებულია და ცოტა ხანში ეზოც ჩადგება მწყობრში.

ასე რომ, მე-2 სკოლა მომავლისათვის კიდევ მეტ წარმატებებს გვპირდება.

დ. ჭელიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

თელავი.

სსრ კავშირის პირველობა ფრენბურთში

პირველი ქულა აღებულია!

„ა“ კლასის I ჯგუფის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა წლეულს ახალი სისტემით ტარდება. წინა წლებისგან განსხვავებით, ახლა 12 კოლექტივი ორ ჯგუფადაა დაყოფილი (6-6 გუნდი). ისინი ორ-ორ მატჩს ატარებენ შინ და გარეთ. ამის შემდეგ ორივე ჯგუფში პირველ სამ ადგილზე გასული გუნდები შეადგენენ ექვსეულს, რომელშიც გამარჯვებულიც გაისად უმაღლეს ლიგაში ითამაშებს.

იმ ჯგუფში, სადაც თბილისის „ბურევესტნიკი“ გამოდის, თამაშობენ ლენინგრადის „დინამო“, გროზნოს „სპარტაკი“, ტაშკენტის „დინამო“, ბაქოს ასკ და ფრუნზეს სსკ (სახლსაშენებელი კომბინატი).

თბილისელმა ფრენბურთელებმა ამ მატჩამდე ოთხი შეხვედრა ჩაატარეს სტუმრად გროზნოს და ლენინგრადის ძლიერ გუნდებთან. „სპარტაკთან“ ისინი დამარცხდნენ ანგარიშით 0:3 და 1:3, ხოლო „დინამოსთან“ — 0:3, 0:3.

უკვე ჩატარებული მატჩებიდან ჩვენთვის დღეს მხოლოდ ორი შეხვედრის შედეგია ცნობილი: ბაქოში ლენინგრადის „დინამომ“ და ადგილობრივმა ასკ-მ თანაბრად გაინაწილეს ქულები: მასპინძლებმა პირველ შეხვედრაში იმარჯვეს (3:2), მეორე კი წააგეს — 0:3.

გუშინწინ თბილისის „ბურევესტნიკი“ ბაქოელებს მასპინძლობდა. ამ შეხვედრით დაიწყო „თბილისური მატჩების სერია“. საქმე ისაა, რომ „ბურევესტნიკი“ ასკ-თან ორი მატჩის შემდეგ ზედიზედ რვაჯერ მიიღებს სტუმრებს ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში.

გუშინწინდელი მატჩის პირველი და მესამე პარტიები თითქმის ერთნაირად წარიმართა და ერთნაირი ანგარიშითაც დამთავრდა. მართალია, ანგარიშში სხვაობა 4 ქულას არ აღემატებოდა (ორივე პარტია დამთავრდა ანგარიშით 15:11), მაგრამ მაინც იგრძნობოდა „ბურევესტნიკის“ უპირატესობა. ჩვენები უფრო მობილიზებულად, მიზანსწრაფულად თამაშობდნენ და მიზანსაც მიაღწიეს. მეორე პარტიაში კი თბილისელებმა პირველი წუთებიდანვე შეუტიეს მეტოქეს და ყოველგვარი იმედი გადაუწურეს. მთელი პარტიის განმავლობაში ანგარიშში სხვაობა თვალსაჩინო იყო. 15:4 — ასე მოიგეს მასპინძლებმა ეს პარტია. 3:0 — „თბილისური მატჩების სერიის“ ამგვარი დასაწყისი უდავოდ საიმედოა, თუმცა, გუნდს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს, რაც სავსებით გასაგებია: I ჯგუფის გუნდების საკავშირო პირველობა ახლა იწყებს „გამოღვიძებას“ ხანგრძლივი „შესვენების“ შემდეგ. იმედია, თბილისელები თანდათან დახვეწენ თამაშს და ექვსეულში მოხვედრას შეეცდებიან.

ც. ფცქიალაძე.

• • •

სურათზე: მატჩის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

მორიგი ტურის შეხვედრები

მოსკოვი, 16 თებერვალი. ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: „ზვეზდა“ (ვოროშილოვგრადი) — „ჩერნომორგიდროსტროი“ (ოდესა) 3:1, „დინამო“ (მოსკოვი) — „ავტომობილისტი“ (დნეპროპეტროვსკი) 3:2, „დოროჟნიკი“ (ალმა-ათა) — „რადიოტექნიკი“ (რიგა) 1:3, ცსკა — „ლოკომოტივი“ (კიევი) 3:0, „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი) 3:1, ასკ (დონის როსტოვი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 2:3.

საბჭოთა ჰოკეისტები — ოქროს ლაურეატები

ჩემპიონთა დოსიე

ვლადისლავ ტრეტიაკი

მეკარე. დაიბადა 1952 წლის 25 აპრილს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. ცსკა. სიმაღლე — 185 სმ. სამხედრო მოსამსახურე. ჰოკეის თამაშობს 1962 წლიდან. XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი.

ალექსანდრე სიდელნიკოვი

მეკარე. დაიბადა 1950 წლის 12 აგვისტოს. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი). სიმაღლე — 176 სმ. პედაგოგი. ჰოკეის თამაშობს 1962 წლიდან. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი 1973-74 წლებში.

ალექსანდრე გუსევი

მცველი. დაიბადა 1947 წლის 21 იანვარს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. ცსკა. სიმაღლე — 165 სმ. სამხედრო მოსამსახურე. ჰოკეის თამაშობს 1959 წლიდან. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი 1973-74 წლებში. სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი.

ვალერი ვასილიევი

მცველი. დაიბადა 1949 წლის 3 აგვისტოს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. „დინამო“ (მოსკოვი). სიმაღლე—182 სმ. სამხედრო მოსამსახურე. ჰოკეის თამაშობს 1962 წლიდან. XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი.

იური ლიაპკინი

მცველი. დაიბადა 1945 წლის 21 იანვარს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. „სპარტაკი“ (მოსკოვი). სიმაღლე — 183 სმ. პედაგოგი. ჰოკეის თამაშობს 1964 წლიდან. მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი. სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორი.

გენადი ციგანკოვი

მცველი. დაიბადა 1947 წლის 16 აგვისტოს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. ცსკა. სიმაღლე — 181 სმ. სამხედრო მოსამსახურე. ჰოკეის თამაშობს 1960 წლიდან. XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი.

ვლადიმერ ლუტჩენკო

მცველი. დაიბადა 1949 წლის 2 იანვარს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. ცსკა. სიმაღლე — 185 სმ. სამხედრო მოსამსახურე. ჰოკეის თამაშობს 1961 წლიდან. XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი.

სერგეი ბაბინოვი

მცველი. დაიბადა 1955 წელს. სპორტის ოსტატი. „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი). სიმაღლე — 181 სმ. სტუდენტი. ჰოკეის თამაშობს 1965 წლიდან.

ბორის მიხაილოვი

თავდამსხმელი. დაიბადა 1944 წლის 6 ოქტომბერს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. ცსკა. სიმაღლე — 178 სმ. სამხედრო მოსამსახურე. ჰოკეის თამაშობს 1959 წლიდან. XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი.

ვალერი ხარლამოვი

თავდამსხმელი. დაიბადა 1948 წლის 14 იანვარს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. ცსკა. სიმაღლე — 172 სმ. სამხედრო მოსამსახურე. ჰოკეის თამაშობს 1961 წლიდან. XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი.

ვლადიმერ პეტროვი

თავდამსხმელი. დაიბადა 1947 წლის 30 ივნისს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. ცსკა. სიმაღლე — 179 სმ. სამხედრო მოსამსახურე. ჰოკეის თამაშობს 1959 წლიდან. XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი.

ალექსანდრე იაკუშევი

თავდამსხმელი. დაიბადა 1947 წლის 2 იანვარს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. „სპარტაკი“ (მოსკოვი). სიმაღლე — 190 სმ. პედაგოგი. ჰოკეის თამაშობს 1960 წლიდან. XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი.

ვლადიმერ შადრინი

თავდამსხმელი. დაიბადა 1948 წლის 6 ივნისს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. „სპარტაკი“ (მოსკოვი). ჰოკეის თამაშობს 1961 წლიდან. XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი.

ვიქტორ შალიმოვი

თავდამსხმელი. დაიბადა 1951 წლის 20 აპრილს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. „სპარტაკი“ (მოსკოვი). სიმაღლე — 181 სმ. სტუდენტი. ჰოკეის თამაშობს 1964 წლიდან. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი 1975 წელს.

ალექსანდრე მალცევი

თავდამსხმელი. დაიბადა 1949 წლის 20 აპრილს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. „დინამო“ (მოსკოვი). სიმაღლე — 175 სმ. სამხედრო მოსამსახურე. ჰოკეის თამაშობს 1959 წლიდან. მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი. სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორი.

სერგეი კაპუსტინი

თავდამსხმელი. დაიბადა 1953 წლის 13 თებერვალს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი). სიმაღლე — 180 სმ. პედაგოგი. ჰოკეის თამაშობს 1967 წლიდან. ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი 1974-75 წლებში. სსრ კავშირის ჩემპიონი 1974 წელს.

ვიქტორ ჟლუქტოვი

თავდამსხმელი. დაიბადა 1954 წლის 26 იანვარს. სპორტის ოსტატი. ცსკა. სიმაღლე — 190 სმ. სამხედრო მოსამსახურე. სსრ კავშირის ჩემპიონი 1975 წელს.

ბორის ალექსანდროვი

თავდამსხმელი. დაიბადა 1955 წელს. სპორტის ოსტატი. ცსკა. სიმაღლე — 168 სმ. ჰოკეის თამაშობს 1965 წლიდან. სსრ კავშირის ჩემპიონი 1975 წელს.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის ჰოკეისტთა ოლიმპიური ნაკრები გუნდი.

მუჰამედ ალი და ანჟელა დევისი

მძიმეწონოსან პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა მუჰამედ ალიმ (აშშ) ამას წინათ ნიუ იორკში განაცხადა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ზანგთა მოძრაობის ცნობილი მოღვაწე ქალის ანჟელა დევისის ლექციების კურსის მოსმენამ.

— მე ახლა ვმუშაობ ჩემი ავტობიოგრაფიის ახალ გამოცემაზე, — განაცხადა ალიმ, — და ანჟელა დევისი ლიტერატურულ კონსულტანტად მოვიწვიე. ძალიან გამიხარდა, როცა მან თანხმობით მიპასუხა.

ყველაზე პოპულარულია ბეისბოლი

გაზეთმა „ნიუ იორკ დეილი ნიუზმა" ჩაატარა მკითხველთა გამოკითხვა, რომელმაც ცხადყო, რომ ბეისბოლი ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე პოპულარული სპორტია. ბეისბოლს მხარი დაუჭირა გამოკითხვის მონაწილეთა 24 პროცენტმა. II ადგილზეა ამერიკული ფეხბურთი (19 პროცენტი), III — კალათბურთი (14). შემდეგ მოდის ჰოკეი და ჩოგბურთი (8-8 პროცენტი).

ქალები შეტევაზე გადავიდნენ

იტალიაში გაუქმდა ჯანმრთელობის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება, რომელიც კრძალავდა ქალთა მონაწილეობას კრივში, რეგბიში, ფეხბურთსა და მარათონულ რბენაში. ქალებმა დაამტკიცეს, რომ მათ უფრო მეტი მოთმინება, შეუპოვრობა და ამტანობა აქვთ, ვიდრე კაცებს და მეტი ტემპერამენტითაც იბრძვიან.

ანდაზის საწინააღმდეგოდ

ცხოველთა სამყაროში ყველაზე პატარამაც დაამყარა მსოფლიო რეკორდი: სამხრეთ ნახევარსფეროზე, გუნდაროოში (ავსტრალია) ჩატარებულ ჩემპიონატში 806-ე ნომერმა ლოკოკინამ მეტოქეებს „ჩაუქროლა" და 182-სანტიმეტრიანი სათევზაო ნავი 19 წუთში „გაირბინა".

40 წელი კარში

ჰამბურგის ბალახის ჰოკეისტ ქალთა კლუბის „ან დერ ალსტერის" კარს იცავს 56 წლის ელიზაბეტ მაიერ-ბორნშენი. იგი ბალახის ჰოკეის 40 წელია მისდევს. პროფესიით ელიზაბეტი მედიცინის დაა. მას სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავს.

„ბალახის ჰოკეი ახალგაზრდობას მიბრუნებს, — ამბობს სპორტსმენი. — განუზომლად ბედნიერი ვარ, როცა თანაგუნდელები ჩემი თამაშით კმაყოფილი რჩებიან".

ექიმები ადასტურებენ ხანდაზმული ჰოკეისტის შესაშურ ჯანმრთელობას. მთელი ცხოვრების მანძილზე მას არ მიუღია არავითარი აბები, წამლები და დამამშვიდებელი საშუალებები. ასე წერს დასავლეთგერმანული ჟურნალი „ბუნტე ილიუსტრირტე".

„წმინდანები" და „კარდინალები"

ამერიკული ფეხბურთის კლუბები „წმინდანები" და „კარდინალები" ძალიან უხეში თამაშით გამოირჩევიან. ამას წინათ მათ საქველმოქმედო მატჩი გამართეს, რომლის დროსაც რამდენიმე ფეხბურთელი სერიოზულად დაშავდა. ისინი სწორედ იმ საავადმყოფოში გაგზავნეს, რომლისთვისაც გროვდებოდა ამ მატჩის მთელი შემოსავალი.

KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS

24 აპრილსა და 22 მაისს

როგორც გფრ-ისა და ესპანეთის ფედერაციები შეთანხმდნენ, მათი გუნდების შეხვედრები ევროპის პირველობის მეოთხედფინალურ სტადიაში გაიმართება 24 აპრილს (მადრიდი) და 22 მაისს (მიუნხენი).

ამავე დროს, „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) მადრიდის „რეალს" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში შეხვდება არა თავის პატარა სტადიონზე, არამედ დიუსელდორფში, სადაც ტრიბუნები 70 ათას მაყურებელს იტევს.

ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი

ფიფა-მ საბოლოოდ დაადგინა, რომ მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის ფინალი ჭაბუკთა შორის ჩატარდება ტუნისში, გაისად, 28 ივნისიდან 10 ივლისამდე. წინასწარი შესარჩევი თამაშები გაიმართება წლეულს და გაისად.

ფინალში ითამაშებს 16 ნაკრები: 6 — ევროპიდან, 3 — სამხრეთ ამერიკიდან, 2-2 — აზიიდან და აფრიკიდან, 2 — ჩრდილოეთ, ცენტრალურ ამერიკიდან და კარიბის ზღვის ქვეყნებიდან. ბოლო, XVI ადგილი დაეთმობათ მასპინძლებს — ტუნისელ ჭაბუკებს.

აფრიკის პირველობა

ადის-აბებაში (ეთიოპია) 29 თებერვალს დაიწყება კონტინენტის ჩემპიონატი, რომელიც 14 მარტამდე გასტანს.

გუნდები ორ ჯგუფად არიან განაწილებული: I — ეთიოპია, უგანდა, ეგვიპტე, გვინეა; II — ზაირი, ნიგერია, სუდანი, მაროკო.

ვეტერანები — მწვანე მინდორზე

როგორც ბუქარესტის გაზეთი „სპორტული" იუწყება, 36 წლის ჰალერი, რომელიც მსოფლიოს VIII ჩემპიონატში ინგლისში გფრ-ის ნაკრების მოწინავე ნახევარმცველი იყო, კვლავ განაგრძობს თამაშს. იგი წარმატებით გამოდის „ფკ აუგსბურგში" (II ბუნდესლიგა) და უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის იბრძვის.

მეორე ცნობილი ვეტერანი, იუგოსლაველი შეკულარაცი ახლა საფრანგეთის II დივიზიონის კლუბ „ფკ პარიზში" თამაშობს. იგი 37 წლისაა.

პოლონეთის ოლიმპიური ნაკრები

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა გაფართოებული სია: **მეკარეები** — ბულინსკი და კარუეცკი, **მცველები** — იანასი, ოსტაფინსკი, ვიროზეკი, შიმანოვსკი, პლაშევსკი, რუდი, ვაეროვსკი, ვოიტოვიჩი, ჟმუდა; **ნახევარმცველები და თავდამსხმელები** — ბონეკი, ბენიგერი, ჩმიკევიჩი, დეინა, გარლოვსკი, პაულოვსკი, სიბისი, კასპერჩაკი, ლატო, კმეციკი, კუპცევიჩი, ოვაზა, ოლშა, შახნიტოვსკი, პუშკაჩი და შარმახი.

ტომაშევსკი, გორგონი და მუსიალეკი ოლიმპიურ ნაკრებში არ შეიყვანეს დისციპლინარული სასჯელის, ხოლო კუსტო, კაპკა, მაშჩიკი და ბულია — სუსტი ფორმის გამო.

მწვრთნელმა კაზიმეჟ გურსკიმ აღნიშნა, რომ „ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შეყვანა არ ნიშნავს მასში „შტატით" მონაწილეობას. ოლიმპიურ თამაშებზე გაემგზავრებიან უძლიერესნი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ნაკრებში არც შედის".

გეგმის მიხედვით, თებერვალში ესპანეთში გაემგზავრება 18 სპორტსმენი, რომლებიც იქ სამ საკონტროლო მატჩს ითამაშებენ ადგილობრივ გუნდებთან.

არგენტინელები ემზადებიან

როგორც არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა მენოტიმ ჟურნალისტებს განუცხადა, მისი გუნდი მაისში დიდ ტურნეს გამართავს ევროპაში.

მენოტიმ დაასახელა ის 22 მოთამაშე, რომლებიც ამ გასტროლებში მიიღებენ მონაწილეობას. მათ შორის მხოლოდ სამი ფეხბურთელია მათგან, ვინც 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა: მეკარე ფილოლი, თავდამსხმელები კემპესი და ჰოუსმანი.

დიდ ინტერესს იწვევს ნაკრების ახალი ცენტრალური თავდამსხმელის სკოტას თამაში, რომელმაც არგენტინის 1975 წლის ჩემპიონატში 60 გოლი გაიტანა (იქ ჩემპიონატი ორ ეტაპად ტარდება).

„კალიარის" მწარე ხვედრი

სარდინიის კლუბი „კალიარი" წლეულს, ეტყობა, ვერ გადაურჩება II ლიგაში გადასვლას, ამ რამდენიმე წლის წინათ კი კლუბი იტალიაში უძლიერესად ითვლებოდა.

ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა რივამ, რომელიც „კალიარიში" მრავალი წლის განმავლობაში თამაშობს, თქვა:

— დიდიდან სასაცილომდე მართლაც ერთი ნაბიჯი ყოფილა. მახსოვს, იტალიის ჩემპიონები რომ ვიყავით, ახლა კი მეორე ლიგისკენ მივექანებით.

ობიექტივში მსოფლიო

ამ მრავალ ეპითეტს შორის, რომლებითაც საუკეთესო პოლონელ სპორტსმენ ქალს ირენა შევინსკას ამკობენ, ყველაზე ხშირად მეორდება ერთი — უსწრაფესი. 200 და 400 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენს ვარშავის ეკონომიური სასწავლებელი აქვს დამთავრებული. გასული სპორტული სეზონი ირენამ პოლონეთის ტატრების მაღალმთიან რაიონში წვრთნით დაამთავრა. წვრთნის პერიოდში მას მუდამ ჰქონდა გამოყოფილი დრო თავისი პატარა ბიჭის ანჯეისთვის.

ქალაქი მირკილე ფინეთის უკიდურეს სამხრეთში მდებარეობს, მაგრამ ზამთარი მაინც მკაცრი იცის. უკვე ორი წელია ამ ქალაქში, მთავარ მოედანზე დგას ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონის, 5000 და 10000 მეტრზე რბენაში ოქროს მედლების მფლობელის, მირკილეს მკვიდრის ლასე ვირენის ქანდაკება. პროფესიით პედაგოგი ვირენი ამჟამად ჰელსინკში ცხოვრობს, მაგრამ ყოველ კვირა დღეს მშობლებთან ატარებს მირკილეში. აი, მაშინ უნდა ნახოთ, როგორ ჯარასავით ტრიალებს ლასე. „მშობლებმა დიდი ამაგი დამდეს და კარგად გამზარდეს, ახლა კი ჩემი ჯერია, ყველაფერში უნდა დავეხმარო", ამბობს შესანიშნავი სპორტსმენი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მონრეალში გამოეთხოვოს აქტიურ სპორტს.

სურათზე ხედავთ ლასეს, რომელსაც თავისი დახერხილი და დაჩეხილი შეშა სარდაფიდან სახლისკენ მიაქვს.

როცა შნო არა გაქვს...

რა აქვთ საერთო მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ჯო ფრეზიერსა და პოპულარულ ინგლისელ საესტრადო მომღერალ ელტონ ჯონს? ის, რომ მოკრივე ცდილობს მუსიკაშიც გაითქვას სახელი, მუსიკოსს კი მოკრივეობა სურს.

რა წარმატებებს მიაღწიეს თავიანთთვის უცხო სფეროებში პრეტენდენტებმა?

ამას წინათ ელტონ ჯონმა ვინძორში ორ მილიონ დოლარად იყიდა ციხე-დარბაზი, რომელიც ოდესღაც ინგლისის მეფეებს ეკუთვნოდა. მისმა წინანდელმა მფლობელმა განაცხადა, რომ ინფლაციის გამო ძალიან გაუჭირდა ამ ციხე-დარბაზის მოვლა. ერთ წარმატებას რომ მიაღწია, ელტონ ჯონმა მეორეც მოინდომა. მან დააპირა მოხვედრილიყო მოკრივეთა საქალაქო ნაკრებში, მაგრამ ნურას უკაცრავად.

— კრივი, ახალგაზრდავ, ძალიან სერიოზული ამბავი გახლავთ, — უთხრა მას მოკრივეთა მწვრთნელმა, — ხალ შეგვიძლია ჩვენ ვენდოთ ვილაც ვიგინდარებს, რომლებიც ვინ იცის, რას გაჰკივიან ესტრადიდან.

ვერც ჯო ფრეზიერმა მოიპოვა რაიმე წარმატება მუსიკაში. მან დააპირა თავის ანსამბლ „ნოკაუტებით" გამოსვლები დაეწყო ბოსტონის ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზში, მაგრამ პირველივე რეპეტიციის შემდეგ დარბაზის პატრონმა განუცხადა:

— მხოლოდ თქვენი მუშტების პატრონს თუ შეიძლება ჰქონდეს გაბედულება წარდგეს საზოგადოების წინაშე, როდესაც ასეთი შემსრულებლები ჰყავს.

Sport

SPORTSKE NOVOSTI

Népsport

Советский спорт

აველანჟის აზრით

ფიფა-ს პრეზიდენტის ჟ. აველანჟის აზრით, საჭიროა სტადიონებზე ასეთი სიახლე შემოიღონ: მსაჯისა და სტადიონის დიდი საათი ზუსტად ერთსა და იმავე დროს უნდა გამოსახავდნენ, ხოლო თამაშის დროს დიქტორებმა რამდენიმეჯერ გამოაცხადონ, თუ რამდენი რჩება მატჩის დამთავრებამდე.

ჰოკეი

ითამაშებენ შვეციის სახელით

შვედი ჰოკეისტები ბიორიე სალმინგი და ინგე ჰამარსტრიომი ამჟამად ჰოკეის ეროვნული ლიგის გუნდში „ტორონტო მეიპლ ლიფსში" გამოდიან. მათ განაცხადეს, რომ თანახმა არიან შვეციის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშონ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც სექტემბერში კანადაში ჩატარდება. როგორც ცნობილია, ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ კანადისა და აშშ-ს გუნდები, რომლებიც დაკომპლექტებული იქნებიან ჰოკეის ეროვნული ლიგისა და მსოფლიო ასოციაციის კლუბების მოთამაშეებით. ტურნირში ითამაშებენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ნაკრები გუნდებიც.

● ●

პრესის აღშფოთება

ამერიკის პრესა კვლავ აღშფოთებას გამოთქვამს იმ აშკარა უხეშობის გამო, რასაც „სტენლის თასის" მფლობელი კლუბი „ფილადელფია ფლაიერსი" იჩენდა მოსკოვის არმიელებთან ბრძოლაში ჰოკეის ეროვნული ლიგის „პრესტიჟის გადასარჩენად". „ვაშინგტონ სტარ-ნიუსი" სარედაქციო წერილში სათაურით „რუსების ჰოკეის გაკვეთილი" წერს: „ჰოკეის ეროვნული ლიგის ჩემპიონებმა გვიჩვენეს, როგორ არ შეიძლება ჰოკეის თამაში. მათ ეს თამაში აქციეს სკალპებზე ნადირობად, რომლის ძირითადი ნიშანიც დაუფარავი სიმხეცეა". „სამწუხაროდ, — დასძენს შემდეგ გაზეთი, — ამგვარი „თამაში" თანდათან ნორმად იქცევა ჩრდილოამერიკული სტილის ჰოკეიში".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 08692